შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე

ვინ ვართ ჩვენ ?

სს „გალტ ენდ თაგარტი“ არის საბროკერო კომპანია, რესისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე (შემდგომში მოხსენიებული როგორც „**კომპანია**“, ან „**ჩვენ**“ ან „**ჩვენი**“).

ჩვენი საიდენტიფიკაციო კოდი: 211359206
ჩვენი მისამართი: პუშკინის ქუჩა N3, თბილისი, საქართველო.
ვებ-გვერდი: https://galtandtaggart.com/ka-ge/

შესავალი

როგორც წამყვანი ფინანსური ინსტიტუტისთვის, ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებლების (თქვენი) პირადი მონაცემების საფუძვლიანი და მაღალი ხარისხის დაცვა და უსაფრთხოება. ამ დოკუმენტით ჩვენ გვსურს გაგიზიაროთ თქვენი პირადი მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების საფუძვლები და მიზნები, ასევე პირადი მონაცემების დაცვის სამართლებრივი და ტექნიკური ზომები. დამატებით, ეს დოკუმენტი გაწვდით ინფორმაციას თქვენს უფლებებსა და თქვენთვის ხელმისაწვდომ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

ვისთვის არის განკუთვნილი ეს დოკუმენტი?

დოკუმენტი განკუთვნილია:

- კომპანიის კლიენტებისთვის (მათ შორის, პოტენციური, არსებული ან/და ყოფილი კლიენტებისთვის);
- კლიენტების სამართლებრივი წარმომადგენლების ან საკონტაქტო პირებისთვის;
- ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ჩვენთან დაკავშირებულია და ინტერესს გამოხატავს ჩვენი პროდუქტების ან მომსახურების მიმართ;
- ნებისმიერი სხვა პირისთვის, რომელთანაც კომპანიას პირდაპირი კონტაქტი არ აქვს, მაგრამ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საბროკერო საქმიანობის განხორციელებისა ან ჩვენი პროდუქტების გაუმჯობესებისთვის.

როგორ ვაგროვებთ მონაცემებს?

ჩვენთვის თქვენი მონაცემების მიღების წყაროებია:

- თქვენი მოთხოვნა მომსახურებებისა და პროდუქტების მიღების თაობაზე (მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული მოთხოვნა ან/და ოფისში ვიზიტი);
- თქვენი მხრიდან ჩვენი მომსახურებების/პროდუქტების გამოყენება;
- თქვენი მხრიდან ჩვენი დისტანციური/ციფრული არხების გამოყენება;
- თქვენი მხრიდან ჩვენი ოფიციალური ვებ-გვერდისა და მისი ფუნქციების გამოყენება (მაგალითად, ჩატი);
- ასევე, ჩვენ ვიღებთ თქვენს შესახებ ინფორმაციას საჯარო წყაროებიდან და მესამე პირებისგან, თუ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები არსებობს და საჭიროების შემთხვევაში, თქვენი თანხმობის საფუძველზე (მაგალითად, ჩვენი ჯგუფის კომპანიები და სხვა).

როგორი ტიპის მონაცემებს ვამუშავებთ?

საბროკერო მომსახურების გაწევისას, კლიენტთან ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემები შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს, მონაცემთა დამუშავების მიზნების პროპორციულობის გათვალისწინებით:

საიდენტიფიკაციო მონაცემები

სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების ადგილი, მისამართი (რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი მისამართი), ეროვნულობა, ფოტო, ხელმოწერის ნიმუში და სხვა;

დოკუმენტური მონაცემები
პირადობის მოწმობა, პასპორტი, მართვის მოწმობა, დაბადების მოწმობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მოწმობა, ბინადრობის ნებართვა, მუდმივი საიდენტიფიკაციო ბარათი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან, ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ნომერი, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა;

საკონტაქტო ინფორმაცია
მისამართი (იურიდიული მისამართი და ფაქტობრივი მისამართი), ელ-ფოსტა, ტელეფონის ნომერი და სხვა;

სოციალური და დემოგრაფიული მონაცემები
ინფორმაცია სამუშაოს/პოზიციის, მოქალაქეობის, განათლებისა და სხვა სოციალური სტატუსისა და შემოსავლების შესახებ და სხვა;

ოჯახური მდგომარეობა და ოჯახის წევრების მონაცემები
ქორწინების მოწმობა, ოჯახის წევრების საიდენტიფიკაციო და დოკუმენტური მონაცემები, ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო პირები, გარდაცვლილი პირის შესახებ ინფორმაცია და გარდაცვალების მოწმობა და სხვა;

ფინანსური მონაცემები
ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემები, ტრანზაქციები და ანგარიშებთან დაკავშირებული მონაცემები, საკრედიტო ისტორია და კრედიტუნარიანობა, ინფორმაცია დავალიანებების, ფინანსური პროდუქტების, შემოსავლის, ქონების, გადახდების ან/და ტრანზაქციების (მათ შორის, სად და როდის განხორციელდა კონკრეტული ტრანზაქცია) შესახებ;

სახელშეკრულებო მონაცემები
კომპანიის მიერ მოწოდებული მომსახურებებისა და პროდუქტების შესახებ ინფორმაცია;

სპეციალური კატეგორიის მონაცემები
მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის, ადმინისტრაციული დაკავებისა და ნასამართლეობის შესახებ. აგრეთვე, ბიომეტრიული მონაცემები და სხვა;

ტექნოლოგიური მოწყობილობების მონაცემები
IP მისამართი, cookies პარამეტრები, IMEI კოდი, აპლიკაციის ლოგები, ნიმუშები, ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა;

ჩანაწერები
აუდიო და ვიდეო ჩანაწერები;

კომუნიკაციის გზით მიღებული მონაცემები
ელფოსტის, ტელეფონის, ჩატის, სოციალური მედიისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მიღებული მონაცემები;

საჯარო მონაცემები
საჯარო წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაცია;

კომპანიის მიერ შექმნილი მონაცემები
კომპანიის მიერ კლიენტის მონაცემების ანალიზის შედეგად შექმნილი მონაცემები (მაგალითად, კლიენტის ქცევითი ნიმუშები, პრეფერენციები, რისკის შეფასება და სხვა);

მონაცემები, რომელსაც კომპანია ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

მონაცემები, რომელთა დამუშავებაც ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (მაგალითად, KYC და AML მოთხოვნების შესაბამისად იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისთვის დამუშავებული მონაცემები) და სხვა.

Cookies პარამეტრები

ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენებისას, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ჩვენი მომსახურებების ხარისხი, თქვენი გამოცდილება და გავზარდოთ თქვენი უსაფრთხოება. შესაბამისად, როდესაც იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდსა და სხვა დისტანციურ პლატფორმებს, ჩვენ ვაგროვებთ მონაცემებს, ე.წ. ქუქი-ფაილებს ("cookies") თქვენს შესახებ. Cookies პარამეტრები გამოიყენება თქვენი გამოცდილების პერსონალიზებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე თქვენი უსაფრთხოების გაზრდისთვის ვებ-გვერდისა და სხვა დისტანციური პლატფორმების გამოყენებისას. კერძოდ, Cookies პარამეტრები გამოიყენება ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველ ფორმატში მოწოდების, საძიებო ინსტრუმენტების გაუმჯობესების, მომხმარებლის უსაფრთხო ავტორიზაციის უზრუნველყოფის, მარკეტინგის, ვებ-გვერდის ოპტიმიზაციისა და მომხმარებლისთვის ადაპტაციის გაუმჯობესების მიზნებისთვის.

Cookies პარამეტრების მეშვეობით ჩვენ ვადგენთ ოპერაციული სისტემის ვერსიას, მოწყობილობის მოდელსა და სხვა უნიკალურ საიდენტიფიკაციო დეტალებს, ვებ-გვერდზე გატარებულ დროს, მონახულებულ გვერდებზე ინფორმაციას, ონლაინ ნავიგაციის ისტორიას, ბრაუზერის მონაცემებს, ჩვენს ვებ-გვერდზე განხორციელებულ აქტივობებს, წვდომის მდებარეობასა და თქვენ მიერ გამოყენებულ ენას. ამ გზით, ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ, თუ როგორ იყენებთ ჩვენს ვებ-გვერდს.

ჩვენი ვებ-გვერდისა და დისტანციური პლატფორმების მონახულებისას, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა უარყოთ/დაეთანხმოთ Cookies პარამეტრების გამოყენებას ან/და მართოთ მათი გამოყენების მიზნები (მაგალითად, შეგიძლიათ უარი თქვათ Cookies პარამეტრების გამოყენებაზე ანალიტიკური ან/და მარკეტინგული მიზნებისთვის).

ჩვენ მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ კანონიერ მიზნებისთვის და აუცილებელი მოცულობით. კომპანია მონაცემებს ამუშავებს სხვადასხვა მიზნებისთვის, მათ შორის:

- საბროკერო მომსახურებების გაწევისთვის (მათ შორის, საბროკერო ოპერაციების განხორციელება);
- საბროკერო მომსახურებების შეთავაზებისა (მათ შორის, პირობების ცვლილებები, ახალი ან დამატებითი პროდუქტის შეთავაზება) და გაუმჯობესებისთვის, რაც მოიცავს ტრანზაქციების ისტორიის ანალიზს, სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზს, გადახდების/გადარიცხვების ანალიზს და სხვას;
- შესაბამისი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი წესების მიხედვით, შესაბამისი ზედამხედველობითი ორგანოსა და აუდიტორული კომპანიებისთვის წვდომის უზრუნველსაყოფად;
- სხვადასხვა ანგარიშების, კვლევებისა და ანგარიშგებების მომზადებისთვის;
- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებისთვის, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- კომპანიისა და სხვა პირების უსაფრთხოებისა და ქონების დაცვისთვის;
- კლიენტისთვის შესაბამისი კორესპონდენციის/შეტყობინების გაგზავნის ან მიწოდებისთვის;
- კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და სათანადო შესრულებისთვის ან/და კლიენტის მიერ შესაბამისი ვალდებულებების დაცვაზე კონტროლისთვის;
- მარკეტინგული მიზნებისთვის, რაც გულისხმობს კომპანიის მიერ პერიოდულად სხვადასხვა პროდუქტის/მომსახურების შეთავაზებას მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, მარკეტინგული აქტივობების შემუშავებას/განხორციელებას;
- კომპანიის ლეგიტიმური ინტერესების ან/და სამართლებრივი უფლებების დასაცავად.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები

ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლებია:

- თქვენი ნებაყოფლობითი თანხმობა მონაცემების დამუშავებაზე;
- კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები;
- მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა თქვენთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ან უკვე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებისთვის;
- მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა თქვენთვის მომსახურების გაწევისთვის / თქვენი მოთხოვნის განხილვისთვის;
- მონაცემთა დამუშავების აუცილებლობა კომპანიისა და მესამე პირების სამართლებრივი ინტერესების დასაცავად;
- მონაცემებზე საჯარო წვდომა;
- ვიდეომონიტორინგის სისტემები გამოიყენება დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენისთვის, ფიზიკური პირებისა და ქონების დაცვისთვის, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის;
- სპეციალური კატეგორიის მონაცემები მუშავდება მხოლოდ თქვენი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ბიომეტრიული მონაცემების შემთხვევაში, მათი დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განსახორციელებლად, ფიზიკური პირებისა და ქონების დაცვისთვის და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების პრევენციის უზრუნველსაყოფად.

როდის ვაზიარებთ თქვენს მონაცემებს მესამე პირებთან

მოქმედი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, თუ მონაცემთა დამუშავებისთვის საჭირო სამართლებრივი საფუძვლები არსებობს, ჩვენ შესაძლოა გავაზიაროთ თქვენი მონაცემები შემდეგ პირებთან:

- თქვენი წარმომადგენელი / სამართლებრივი წარმომადგენელი;
- ტრანზაქციის მხარეები;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სუბიექტები;
- სადაზღვევო კომპანიები;
- მომსახურების მომწოდებლები – მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, კომპანიის გარე აუდიტორები, კონსულტანტები, მრჩევლები, საკურიერო ან/და კვლევითი ორგანიზაციები, IT სერვისის მომწოდებლები (მაგალითად, ქლაუდის ინფრასტრუქტურის სერვისები) ან/და ნებისმიერი სხვა პირი, რომელსაც აქვს მსგავსი ფუნქციები;
- ჩვენი ჯგუფის კომპანიები;
- თქვენი თანხმობის შემთხვევაში, სხვა მესამე პირები.

ჩვენ შესაძლოა გადავცეთ თქვენი მონაცემები სხვა სახელმწიფოში, თუ არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლები და შესაბამის სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

თუ მონაცემები გადაიცემა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც არ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვის შესაბამის გარანტიებს, კომპანია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების გადაცემის თაობაზე შეთანხმების გაფორმებას, რაც უზრუნველყოფს კლიენტის მონაცემების სათანადო დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თქვენი მონაცემების სათანადო დაცვის მიზნით, მესამე პირებისთვის ამგვარი პერსონალური მონაცემების გადაცემამდე, ჩვენ ვამოწმებთ, აქვთ თუ არა ამ მესამე პირებს შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები.

თქვენ გაქვთ უფლება:

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენს შესახებ დამუშავებული მონაცემების შესახებ, მათ შორის, რომელი პერსონალური მონაცემები მუშავდება, რა არის მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძვლები, რა გზით იქნა მონაცემები მოპოვებული და ვის გადაეცა პერსონალური მონაცემები;
- გადაამოწმოთ კომპანიის მიერ შენახული თქვენი პერსონალური მონაცემები და მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების/ჩანაწერების ასლები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და კომპანიის მიერ განსაზღვრული საფასურის გადახდის საფუძველზე;
- მოითხოვოთ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და დამატება, თუ ისინი არასრული, არასწორი ან განუახლებელია;
- მოითხოვოთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ:
    - ჩვენ ვითხოვთ თქვენს თანხმობას, როგორც ერთადერთ საფუძველს მონაცემთა დამუშავებისთვის;
    - მონაცემთა დამუშავება აღარ არის აუცილებელი იმ მიზნისთვის, რისთვისაც ის მუშავდებოდა;
    - მონაცემები მუშავდება უკანონოდ.
- მოითხოვოთ პერსონალური მონაცემების დაბლოკვა, თუ:
    - სადავოა პერსონალურ მონაცემთა ნამდვილობა ან სისწორე;
    - მონაცემები მუშავდება უკანონოდ, მაგრამ არ გსურთ მათი წაშლა და ითხოვთ მათ დაბლოკვას;
    - მონაცემთა დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რისთვისაც ისინი მუშავდებოდა, მაგრამ თქვენ გჭირდებათ ეს მონაცემები სასამართლო პროცესებისთვის;
    - მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის განხილვა;
    - აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა, როგორც მტკიცებულების, შენახვა.
- ნებისმიერ დროს გააუქმოთ/უარყოთ თქვენი თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე და მოითხოვოთ ამ საფუძვლით დამუშავებული ინფორმაციის წაშლა. ჩვენ შევწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას და წავშლით მონაცემებს, თუ არ იარსებებს სხვა სამართლებრივი საფუძველი მათი დამუშავებისთვის;
- თუ მონაცემები მუშავდება თქვენი თანხმობის საფუძველზე და ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მოითხოვოთ თქვენ მიერ კომპანიისთვის მოწოდებული პერსონალური მონაცემების პორტირება, რაც გულისხმობს მათი სტრუქტურირებული, გამოყენებადი და ელექტრონული ფორმით მიღებას, ან სხვა მონაცემთა დამმუშავებელთან გადაცემას;
- თუ თქვენ მიმართ გადაწყვეტილება მიიღება ავტომატური მონაცემთა დამუშავების გზით, რაც იწვევს სამართლებრივ, ფინანსურ ან სხვა არსებით შედეგებს თქვენთვის, მოითხოვოთ ადამიანური რესურსის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა ავტომატური დამუშავება ხდება თქვენი თანხმობის საფუძველზე, აუცილებელია ხელშეკრულების დადების/შესრულებისთვის ან ეს პროცესი განსაზღვრულია კანონმდებლობით;
- თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოთ კომპანიის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერს, პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.

თქვენი უფლებების შეზღუდვა

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ მათი განხორციელება საფრთხეს უქმნის შემდეგს:

- ეროვნული უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოების და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის პრევენციას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და მართლმსაჯულების განხორციელებას;

- ქვეყნის არსებით ფინანსურ ან ეკონომიკურ ინტერესებს (მათ შორის, მონეტარული, საგადასახადო და საბიუჯეტო), საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- პროფესიული ეთიკის წესების დარღვევის გამოვლენას, მათ შორის რეგულირებად პროფესიებში, და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- თქვენს ან სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს;
- სახელმწიფოს, კომერციული და სხვა საიდუმლოებების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- სამართლებრივი პრეტენზიის ან დაცვის დასაბუთების უზრუნველყოფას.

კომპანია უფლებების შეზღუდვის უფლებამოსილებას იყენებს მხოლოდ შეზღუდვის მიზნებისთვის აუცილებელ ფარგლებში და ამგვარი მიზნის პროპორციულად.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება
პერსონალური ინფორმაცია ინახება მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია მისი შეგროვების მიზნის შესასრულებლად ან კანონმდებლობით დადგენილი ვადით. ჩვენ უზრუნველყვყოფთ თქვენი მონაცემების დაცვის ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ გარანტიებს. ჩვენ ვიცავთ ჩვენი ელექტრონული აღჭურვილობის, ფაილებისა და შენობების უსაფრთხოებას. ჩვენ ასევე გვაქვს ფიზიკური, ელექტრონული და პროცედურული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თქვენი მონაცემების დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან, გამოყენებისგან, გადაცემისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან.

ჩვენი თანამშრომლები იცავენ მონაცემთა კონფიდენციალურობას, უსაფრთხოების პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია მოქმედ კანონმდებლობასა და შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტებში.

მონაცემთა შენახვის ვადა
თქვენი მონაცემები ინახება:
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადით;
- იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, მომსახურების უზრუნველსაყოფად ან/და შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი ვადით.

თქვენი ვალდებულებები
თქვენთვის მომსახურების მიწოდების მიზნით, აუცილებელია, რომ ჩვენ გვქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია თქვენს შესახებ. შესაბამისად, თუ იცვლება თქვენი საკონტაქტო ან სხვა ინფორმაცია, გთხოვთ, შეგვატყობინოთ.

თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია თქვენს მონაცემებთან დაკავშირებით ან განახორციელოთ დამატებითი მოქმედებები, გთხოვთ, მოგვმართოთ ქვემოთ მითითებული ელ-ფოსტაზე, ან ჩვენი ვებ-გვერდის მეშვეობით, ან ეწვიოთ ჩვენს ოფისს. თქვენი მოთხოვნა განიხილება და პასუხი მოგეწოდებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საკონტაქტო ინფორმაცია
პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე კომპანიასთან დაკავშირება შეგიძლიათ შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: info@gt.ge

ცვლილებები
ჩვენ დროდადრო შესაძლოა შევიტანოთ ცვლილებები წინამდებარე დოკუმენტში. განახლებული ვერსია გამოქვეყნდება ჩვენს ვებ-გვერდზე, სადაც მითითებული იქნება ბოლო ცვლილების თარიღი.